საიდ. №79962/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №09-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, უ. ოშხნელი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2016 წლის 28 იანვრის №ა-31 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა შპს „ესეტ აუტოტაილე დოიჩლანდის“ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №09-03/16), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1903/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „PREMIUM AUTO” (საიდ. №79962/03) დარეგისტრირება განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის (მე-12 კლასი).

„საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის №1903/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „PREMIUM AUTO" არ ექვემდებარება რეგისტრაციას, ვინაიდან მსგავსია შპს „ესეტ ავტონაწილების" (მისამართი: ზ. ბენდელიანის ქ. 4/37, თბილისი, საქართველო) სახელზე საქპატენტში რეგისტრირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნისა „PREMIUM AUTOPARTS" (რეგ. N18317). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით და შედგება სიტყვიერი ნაწილებისაგან: „PREMIUM", „AUTOPARTS" და „AUTO". ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა, ვინაიდან ნიშნებში შემავალი პირველი სიტყვა „PREMIUM" იდენტურია. განცხადებული სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვიერ ნაწილს „AUTO", დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში ემატება დაბოლოება - „PARTS", რომელიც არ ანიჭებს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას. მსგავსებას აძლიერებს გამოსახულებების იდენტურობა. ორივე ნიშანი გაცხადებულია მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის. საქონელი მსგავსია და ერთსა და იმავე სახის მომხმარებელთა სექტორზეა გათვლილი, შესაბამისად არსებობს ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა, სასაქონლო ნიშანზე „PREMIUM AUTOPARTS" (რეგ. N18317) უფლებები გადასცა აპელანტ კომპანიას

შპს „ესეტ აუტოტაილე დოიჩლანდს“, შესაბამისად აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების რეესტრში 2015 წლის 27 იანვარს დაფიქსირებული ცვლილების თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიამ შპს „ესეტ ავტონაწილებმა“ სასაქონლო ნიშანზე „PREMIUM AUTOPARTS“ (რეგ. N18317) უფლებები გადასცა აპელანტ კომპანიას - შპს „ესეტ აუტოტაილე დოიჩლანდს“. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის აპელანტ კომპანიას, არ არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი ,,მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა''.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ესეტ აუტოტაილე დოიჩლანდის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1903/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „PREMIUM AUTO” (საიდ. №79962/03) დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ი. გიქორაშვილი

უ. ოშხნელი